




**მიმდინარე ანგარიშგება საქართველოს  
საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს № 22 ბრძანების მიხედვით\***

1. მიმდინარე ანგარიშის წარმდგენის თარიღი „\_\_\_\_\_“ დეკემბერი 2010 წელი
2. არსებითი ფაქტის (მოვლენის) მოხდენის თარიღი: 2010 წელი ნოემბერი
3. ანგარიშის წარმდგენი საწარმოს დასახელება: სს „საქართველოს ბანკი“
4. ანგარიშის წარმდგენი საწარმოს იურიდიული მისამართი:

ქ. თბილისი, 0105, პუშკინის ქუჩა №3, ტელ: 444-444, 444-227;



## მიმდინარე ანგარიშის შინაარსი:

1. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის გადადგომა ან საწარმოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ცვლილება.

*2010 წლის 22 ნოემბრის აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:*

*ბატონი ირკი თალვითიეს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრობიდან გადადგომის და ქალბატონი ჰანა ლოიკანენის ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრად არჩევის შესახებ.*

სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა ბატონმა ირკი თალვითიემ დატოვა თანამდებობა სს “საქართველოს ბანკის” აქციონერ კომპანია “ისტ კაპიტალში” და შესაბამისად მიიღო გადაწყვეტილება სამეთვალყურეო საბჭოდან გასვლის შესახებ.

ქალბატონი ჰანა ლოიკანენი “ისტ კაპიტალის” მოსკოვის ოფისის მთავარი წარმომადგენელია. ჰანა არის ფინეთის მოქალაქე, მან 2007 წლის ნოემბერში დაიწყო მუშაობა “ისტ კაპიტალში” და დააგროვა რუსეთისა და აღმოსავლეთ ევროპის საფინანსო ინსტიტუტებთან 15 წლიანი სამუშაო გამოცდილება. ქალბატონი ლოიკანენი “ისტ კაპიტალამდე” მუშაობდა რუსეთში “FIM Group”-ის გენერალურ დირექტორად და მენეჯერად. მას ევალუბოდა “FIM Group”-ის როგორც საბროკერო ასევე კორპორატიული-საფინანსო ოპერაციების წარმართვა რუსეთში.

“FIM Group”-მდე იგი რამოდენიმე წელი წამყვან თანამდებობს იკავებდა პოლონეთის, ბალტიის ქვეყნებისა და ფინეთის “Nordea Finance”-ის ოფისებში. “Nordea”-მდე ქალბატონი ლოიკანენი მუშაობდა სანქტ-პეტერბურგის “Merita Bank”-ში და მოსკოვის “SEB”-ში. ქალბატონ ლოიკანენს აქვს ჰელსინკის ეკონომიკის სკოლის მაგისტრის წოდება ეკონომიკისა და ბიზნეს ადმინისტრაციაში.

